

შპს წისქვილი ბაზარი
2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31.12.2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	126,994
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	95,958
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		18,925
მარაგები	7	577,870
- შუა პროდუქცია		577,338
- სხვა		532
საინვესტიციო ქონება		-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	13	14,492
ბიოლოგიური აქტივები		-
გუდვილი		-
სხვა არამატერიალური აქტივები	9	19,523
ძირითადი საშუალებები	8	474,986
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-
სულ აქტივები		1,328,748
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	10	25,921
სავაჭრო ვალდებულებები	11	793,741
ანარიცხები		-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	12	7,852
საგადასახადო ვალდებულებები	13	-
გამომუშავებული შემოსავალი		-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		-
მიღებული გრანტები		-
სხვა ვალდებულებები		-
სულ ვალდებულებები		827,514
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	14	700,000
საემისიო შემოსავალი		-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(198,766)
გადაფასების რეზერვი		-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		-
სულ საკუთარი კაპიტალი		501,234
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,328,748

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2021 წ.

	შენიშვნა	2021
ნეტო ამონაგები	15	1,957,706
საქონლის გაყიდვიდან		1,798,829
მომსახურების გაწევიდან		158,877
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-
სხვა		-
გაყიდვების თვითღირებულება		(1,485,996)
საერთო მოგება		471,710
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-
დასაქმებულთა ანაზღაურება		(203,051)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი		(45,914)
საპროცენტო შემოსავალი		-
საპროცენტო ხარჯი		-
იჯარის ხარჯი		(191,187)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(229,947)
სულ საოპერაციო ხარჯები		(670,099)
საოპერაციო მოგება		(198,389)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		-
მარაგების გაუფასურების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი)/აღდგენა		-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით		(330)
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		-
მიღებული დივიდენდები		-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(47)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		(198,766)
განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადის ხარჯი		-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		(198,766)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)		-
გადაფასების რეზერვი		-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების		-
უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ		-
გადასახდელიანი პროგრამები).		-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(198,766)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		-
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის		700,000
გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის		-
გაზრდა')		-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		501,234

ფულადი სახსრების მოძრაობა 2021 წ.

	შენიშვნა	2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		111,093
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		(684,197)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		700,000
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		126,896
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		98
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		126,994

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 25 სექტემბერს და ხელმოწერილია მათი სახელით:

 /ხელმოწერილია/

ოთარ ლოლაშვილი
გენერალური დირექტორი

 /ხელმოწერილია/

გიორგი ნაკაშიძე
ფინანსური დირექტორი

1. საანგარიშგებო ორგანიზაცია

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე კომპანიაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც განვითარებადი ბაზრების მახასიათებლები აქვთ. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები მუდმივად ვითარდება-იხვეწება. ფინანსური ანგარიშგებები ასახავს კომპანიის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს წისქვილი ბაზარი (“კომპანია”) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. კომპანია დაფუძნდა 2021 წლის 23 მარტს.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზ. N 57, კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 402181544

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: საცალო ვაჭრობა ხილით და ბოსტნეულით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით

კომპანიას მართავს პარტნიორთა კრება და დირექტორი. კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა კრება, რომელიც განსაზღვრავს ბიზნეს პოლიტიკას და ნიშნავს დირექტორს. დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

კომპანიის მფლობელებისა და წილობრივი გადანაწილების შესახებ ინფორმაცია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

სს ფუდმარტი	ს/ნ 404460187	25%
შპს დეილი	ს/ნ 406088638	25%
შპს წისქვილი ჯგუფი	ს/ნ 202200778	50%

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფასს-ის პირველადი გამოყენება

შპს წისქვილი ბაზრის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ფასს-ის გამოყენება ხდება მისი დაფუძნების თარიღიდან ანუ 2021 წლის მარტიდან.

3. ფუნქციონალური და წარმომადგენლობითი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ლარი, რომელიც ამავედროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები.

4. შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგებების “ფასს“-ის შესაბამისად მომზადებისთვის, ხელმძღვანელობამ უნდა გააკეთოს ისეთი შეფასებები, მსჯელობები და დაშვებები, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება მუდმივად. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც ასეთი ცვლილებები გავლენას მოახდენენ.

ხელმძღვანელობას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ გაუკეთებია ისეთი კრიტიკული შეფასებები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ თანხებზე.

ინფორმაცია დაშვებების ან შეფასებების გაურკვევლობების შესახებ, რომლებსაც გააჩნიათ მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი კორექტირების არსებითი რისკი, მოცემულია 13 შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებები მოითხოვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა განმარტების მიზნებისათვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს საბაზრო მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულებები იყოფა სხვადასხვა დონების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე:

- დონე 1: კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: მონაცემები, პირველ დონეში შეძენილი კოტირებული ფასების გარდა, რომლებიც მოიპოვება აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებით, პირდაპირ (ე.ი. ფასები), ან ირიბად (ე.ი. ფასებისაგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები იმ აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება არსებულ საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი იქნება აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება მთლიანობაში მოხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია წარმოდგენილი, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულებების შეფასებაში გაკეთებული დაშვებების შესახებ მოცემულია მე-14(ა) შენიშვნაში – ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები განთავსებულია კომპანიის სალაროში და საქართველოს კომერციულ ბანკებში. კომპანია თვლის, რომ კომერციული ბანკები შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს.

	31.12.2021
ნაღდი ფული სალაროში	19,983
ფული საბანკო ანგარიშებზე	107,011
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	126,994

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი საქონლის ან მომსახურების მიწოდების შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიანი აქტივებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

	31.12.2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	95,501
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	457
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	95,958

7. მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების თანხით.

	31.12.2021
მზა პროდუქცია	577,338
საწვავ-საპოხი საშუალებები	532
სულ მარაგები	577,870

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად, სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

	საწყისი ღირებულება	დარიცხული ცვეთა	ნარჩენი ღირებულება 31.12.21
ოფისის აღჭურვილობა	122,493	13,908	108,585
ავეჯი და სხვა ინვენტარი	166,613	17,550	149,063
სატრანსპორტო საშუალებები	17,738	296	17,443
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	213,157	13,263	199,895
სულ ძირითადი საშუალებები	520,002	45,017	474,986

9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებს შეადგენს შემენილი კომპიუტერულ-პროგრამული უზრუნველყოფა და მისი მოხმარების დამატებითი სამომხმარებლო ლიცენზიები რომლებიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული თვითღირებულებით. მათი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

	საწყისი ღირებულება	ამორტიზაცია	ნარჩენი ღირებულება 31.12.21
პროგრამული უზრუნველყოფა	20,420	897	19,523
სულ არამატერიალური აქტივები	20,420	897	19,523

10. საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება წარმოადგენს იჯარით აღებული კომერციული ფართის იჯარის ვალდებულებას.

11. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების მიღების ან საქონლის მოწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან ვალდებულებებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

12. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

თანამშრომელთა მიმართ არსებულ ვალდებულებებს შეადგენს თვის ბოლოს დარიცხული და ჯერ გაუცემელი ხელფასის ნაშთი.

13. საგადასახადო ვალდებულებები

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაა. ახალ მოდელში მთავარ ცვლილებას ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების რეინვესტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება. დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

შენიშვნა: რადგანაც ანგარიშგების ელექტრონულ პორტალზე ციფრული ფორმები არ იძლევა საშუალებას უარყოფითი დავალიანების შეტანის, ბიუჯეტისადმი მოთხოვნა შეტანილია სხვა მოკლევადიანი აქტივების გრაფაში.

14. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება მისი დამფუძნებლების მიერ 2021 წლის განმავლობაში კომპანიაში განხორციელებული ფულადი შენატანებისგან.

15. ამონაგები

ამონაგები მომსახურებიდან/ საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს კომპანიის ადმინისტრირებასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს. მისი სტრუქტურა შემდეგია:

	31.12.2021
რეკლამის ხარჯები	91,146
მარკეტინგული ხარჯები	18,790
დიზაინერული მომსახურება	8,202
სუბ ფრანჩაიზინგის ხარჯები	6,211
სამუშაო მომსახურება	3,865
გაფორმების ხარჯები	161
ბანკის ტერმინალებით მომსახ ხარჯი	32,492
შესაფუთი მასალები	4,182
საპენსიო თანხები	4,524
პერსონალის ხარჯები	5,627
კომუნალური ხარჯები - ელ ენერგია	26,723
კომუნალური ხარჯები - წყალი	1,949
კომუნიკაციის ხარჯები	1,876
დაზღვევა	827
დაცვა	773
დეზინფექციის ხარჯები	1,680
ავტომობილზე გაწეული ხარჯები	204
საკონსულტაციო ხარჯები	6,817
საბანკო ხარჯები	2,884
სამეურნეო ხარჯები	7,246
საწვავის ხარჯები	3,680
სხვა საერთო ხარჯი	88
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	229,947